Bolt Rewind 2023

მარკეტინგული კამპანიის წესები და პირობები მომხმარებლებისთვის

1. **ზოგადი**

1.1 **Bolt Operations OÜ**, მისამართი: **Vana-Lõuna tn 15, 10134 Tallinn, Estonia,** რეგისტრაციის კოდი: 14532901 (Bolt), არის მარკეტინგული კამპანიის „**Bold Rewind 2023" (კამპანია)** ორგანიზატორი.

1.1.1 Bolt Rides PL sp. z o.o., მისამართი: Prosta 67, 00-838 Warsaw, რეგისტრაციის კოდი: **0000981464**, არის კამპანიის ორგანიზატორი პოლონეთში

1.1.2. Bolt Services AZ LLC, მისამართი: AZ1025, Baku City Khatai District, 55 Khojali avenue (ორიგინალ ენაზე: AZ1025, Bakı Şəhəri Xətai Rayonu, Xocali, ev.55), რეგისტრაციის კოდი: 1503463041, არის კამპანიის ორგანიზატორი აზერბაიჯანში

1.2. **კამპანია ორგანიზებულია ორი ფორმით:**

a. იდეის წარდგენა Google-ის ფორმის საშუალებით

b. მონაწილეობა საჩუქრების გაცემაში

1.3. კამპანია ჩატარდება 2023 წლის 18 დეკემბრიდან 2024 წლის 14 იანვრის ჩათვლით (GMT +3) **(კამპანიის ჩატარების პერიოდი)**.

1.4. პრიზისთვის ბრძოლის და გამარჯვებულად არჩევის შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ აზერბაიჯანის, ბელგიის, ხორვატიის, კვიპროსის, ჩეხეთის, ესტონეთის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ლატვიის, ლიტვის, მალტის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, პოლონეთის, პორტუგალიის, რუმინეთის, სლოვაკეთის, ესპანეთის, შვედეთის, უკრაინის, ავსტრიის, საქართველოს, უნგრეთის, განის, კენიის, ნიგერიის, სამხრეთ აფრიკის, ტანზანიისა და პარაგვაის მაცხოვრებლებს, რომლებიც 18 წლის ან უფროსი ასაკის არიან (ან აქვთ სრული იურიდიული ქმედუნარიანობა მოქალაქეობის ქვეყანაში) და სარგებლობენ პირადი ანგარიშით Bolt აპში ტაქსის გამოსაძახებლად (**მონაწილეები**).

1.5. კამპანიის პროცედურა დადგენილია წინამდებარე წესებით და პირობებით და სარეკლამო და კამპანიის დამატებით მასალებში მითითებულ პირობებში, რომლებიც სავალდებულოა ყველა მონაწილისთვის.

1.6. კამპანიაში წინასწარი რეგისტრაცია არ არის საჭირო. კამპანიაში მონაწილეობა განისაზღვრება, როდესაც მონაწილე ავსებს შესაბამის ფორმაში მოთხოვნილ ველებს და წარადგენს მას. კამპანიის ფორმის შევსება და წარდგენა გულისხმობს კამპანიის წესებსა და პირობებზე დათანხმებას.

1.7. დაუშვებელია Bolt-ის თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების გამარჯვებულად არჩევა.

1.8. ეს კამპანია არ არის ლატარია ან აზარტული თამაშის სხვა ფორმა.

1.9. ფორმის მეშვეობით ორიგინალური იდეის წარდგენით მონაწილე Bolt-ს ანიჭებს უფლებას, განახორციელოს იდეა, მოახდინოს მისი ადაპტირება და გააერთიანოს ის სხვა იდეებთან, Bolt-ის შეხედულებისამებრ, დროის ნებისმიერ მომენტში, Bolt-ისგან მონაწილისთვის ყოველგვარი კომპენსაციის ან ჰონორარის გადაცემის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოხდება მონაწილის გამარჯვებულად აირჩევა, რა შემთხვევაშიც მიიღებს ერთჯერად პრიზს.

2. პრიზი

2.1. მონაწილე, რომელიც შემოგვთავაზებს ქალაქის გაუმჯობესების საუკეთესო იდეას, შეიერჩევა გამარჯვებულად Bolt-ის შიდა ჟიურის წევრების მიერ, მათი შეხედულებისამებრ, შემდეგ კი, ქვემოთ მოცემული 2.2 სექციის შესაბამისად, მიიღებს პრომოკოდს Bolt აპში ტაქსის გამოძახების სერვისებისთვის (პრიზი) ხოლო მისი გამარჯვებული იდეა განხორციელდება Bolt-ის მიერ ზუსტად ან ადაპტირებული ფორმით, Bolt-ის მიერ შერჩეულ ლოკაციაზე.

2.2 პრიზი არის პრომოკოდი, რომელიც გთავაზობთ ფასდაკლებებს Bolt-ით ტაქსის გამოძახების სერვისზე და ძალაშია კოდის გამარჯვებულისთვის გაგზავნის მომენტიდან 24 თვის განმავლობაში. პრომოკოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც გაიცემა. პრომოკოდი გთავაზობთ განსაზღვრული რაოდენობის მგზავრობის სრულ ფასზე ფასდაკლებების კომპლექტს. თუ მგზავრობის ფასი ფასდაკლებაზე დაბალია, ფასდაკლება ვრცელდება მგზავრობის სრულ

ფასზე და გამოუყენებელი ფასდაკლება არ გადადის სხვა მგზავრობაზე ან რაიმე სხვა საშუალებაზე. თუ მგზავრობის ფასი ფასდაკლებაზე მაღალია, ფასდაკლება ვრცელდება სრულ ფასზე, ხოლო მგზავრობის დანარჩენ ღირებულებას მგზავრი დაფარავს მისი სასურველი გადახდის მეთოდით. პრიზის პრომოკოდის ჯამური ღირებულება და მოქმედი ფასდაკლებები თითოეული ქვეყანის შემთხვევაში შემდეგია (იმ ქვეყნებიდან მიღებული ფორმის ჩანაწერებზე, რომლებიც არ შედიან მოცემულ სიაში, პრიზი არ გაიცემა):

a. აზერბაიჯანი: პრომოკოდის ჯამური ოდენობაა 2000 ₼, 1000 მგზავრობაზე შემოთავაზებული მაქსიმალური ფასდაკლებაა 2 ₼

b. ავსტრია, ბელგია, კვიპროსი, ფინეთი, საფრანგეთი, ნიდერლანდები: პრომოკოდის ჯამური ოდენობაა 1000 €, 100 მგზავრობაზე შემოთავაზებული მაქსიმალური ფასდაკლებაა 10 €

c. ხორვატია, ესტონეთი, გერმანია, ლატვია, ლიტვა, მალტა, პორტუგალია, სლოვაკეთი, ესპანეთი: პრომოკოდის ჯამური ოდენობაა 1000 €, 200 მგზავრობაზე შემოთავაზებული მაქსიმალური ფასდაკლებაა 5 €

d. ჩეხეთი: პრომოკოდის ჯამური ოდენობაა 25 000 Kč, 250 მგზავრობაზე შემოთავაზებული მაქსიმალური ფასდაკლება შეადგენს 100 Kč

e. საქართველო: პრომოკოდის ჯამური ოდენობაა 3000 ლარი, 600 მგზავრობაზე შემოთავაზებული მაქსიმალური ფასდაკლებაა 5 ლარი

f. განა: პრომოკოდის ჯამური ოდენობაა 13 000 GH₵, 1000 მგზავრობაზე შემოთავაზებული მაქსიმალური ფასდაკლებაა 13 GH₵

g. უნგრეთი: პრომოკოდის ჯამური ოდენობაა 400 000 Ft, 160 მგზავრობაზე შემოთავაზებული მაქსიმალური ფასდაკლებაა 2500 Ft

h. კენია: პრომოკოდის ჯამური ოდენობაა 160 000 KSh, 800 მგზავრობაზე შემოთავაზებული მაქსიმალური ფასდაკლებაა 200 KSh

i. ნიგერია: პრომოკოდის ჯამური ოდენობაა 850 000 ₦, 500 მგზავრობაზე შემოთავაზებული მაქსიმალური ფასდაკლებაა 1 700 ₦

j. ნორვეგია: პრომოკოდის ჯამური ოდენობაა 12 000 kr, 120 მგზავრობაზე შემოთავაზებული მაქსიმალური ფასდაკლებაა 100 kr

k. პარაგვაი: პრომოკოდის ჯამური ოდენობაა 8 000 000 ₲, 800 მგზავრობაზე შემოთავაზებული მაქსიმალური ფასდაკლებაა 10 000 ₲

l. პოლონეთი: პრომოკოდის ჯამური ოდენობაა 5000 zł, 500 მგზავრობაზე შემოთავაზებული მაქსიმალური ფასდაკლებაა 10 zł

m. რუმინეთი: პრომოკოდის ჯამური ოდენობაა 5000 lei, 500 მგზავრობაზე შემოთავაზებული მაქსიმალური ფასდაკლებაა 10 lei

n. სამხრეთი აფრიკა: პრომოკოდის ჯამური ოდენობაა 20 000 R, 500 მგზავრობაზე შემოთავაზებული მაქსიმალური ფასდაკლებაა 40 R

o. შვედეთი: პრომოკოდის ჯამური ოდენობაა 12 000 kr, 120 მგზავრობაზე შემოთავაზებული მაქსიმალური ფასდაკლებაა 100 kr

p. ტანზანია: პრომოკოდის ჯამური ოდენობაა 3 000 000 TSh, 1 500 მგზავრობაზე შემოთავაზებული მაქსიმალური ფასდაკლებაა 2 000 TSh

q. უკრაინა: პრომოკოდის ჯამური ოდენობაა 40 000 ₴, 800 მგზავრობაზე შემოთავაზებული მაქსიმალური ფასდაკლებაა 50 ₴

2.3. პრიზის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ გამარჯვებულისთვის ფორმაში მითითებულ ელფოსტით მას შემდეგ, რაც გამარჯვებული უპასუხებს Bolt-ის შეტყობინებას 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში და დაადასტურებს ქვეყანას, სადაც სურს, მიიღოს პრიზის პრომოკოდი.

2.4. პრიზის გადახდა და ანაზღაურდება არ ხდება ნაღდი ანგარიშსწორებით. დაუშვებელია პრიზის ჩანაცვლება ან გაცვლა რაიმე ფორმით, ხოლო Bolt არ აანაზღაურებს პრიზის გაცემასთან დაკავშირებულ ხარჯს.

2.5. გამარჯვებულს არ ექნება გადასახდელი ფარული საკომისიოები, რომელიც პრიზის მიღებასთან არის დაკავშირებული.
2.6. შეუძლებელია, ერთმა მონაწილემ რამდენჯერმე მოიგოს. Bolt იტოვებს უფლებას, აირჩიოს კამპანიის ერთზე მეტი გამარჯვებული.

3. გამარჯვებულის არჩევა

3.1. გამარჯვებულს აირჩევენ Bolt-ის შიდა ჟიურის წევრები თავიანთი შეხედულებისამებრ. ნებისმიერ მონაწილეს, რომელმაც წარადგინა იდეა ფორმის სახით, გამარჯვებულის არჩევამდე შეიძლება Bolt დაუკავშირდეს და დააზუსტოს იდეასთან ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული რაიმე დეტალი.
3.2. გამარჯვებული Bolt-ის წარმომადგენლისგან მიიღებს ელ.წერილს ფორმაში მითითებულ ელფოსტაზე 2024 წლის 31 მარტამდე (GMT +3), შემდეგ კი გამოცხადდება Bolt-ის სოციალური მედიის და სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით.
3.2.1. Bolt არ იქნება პასუხისმგებელი მონაწილისთვის გაგზავნილ შეტყობინებაზე, რომელიც დაიკარგა, შეფერხდა ან არ მიუვიდა პოტენციურ გამარჯვებულს რაიმე მიზეზით. თუ გამარჯვებულთან დაკავშირება ვერ მოხერხდა და/ან ელფოსტის მისამართის დასადასტურებლად ის ვერ გამოგზავნის პასუხს თავდაპირველი ელფოსტის გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, ჩაითვლება, რომ გამარჯვებულმა პრიზი დაკარგა. Bolt-ს მაინც აქვს უფლება, გააგრძელოს გამარჯვებულის იდეის განხორციელება. პრიზის დაკარგვის შემთხვევაში Bolt იტოვებს უფლებას, აირჩიოს სხვა გამარჯვებული.
3.3. Bolt იტოვებს უფლებას, გამოაქვეყნოს გამარჯვებულის სახელი და მისი იდეა Bolt-ის ბლოგზე, Bolt-ის ვებსაიტზე, კლიენტთა კომუნიკაციებში, PR კომუნიკაციებში, ელფოსტაზე და/ან სოციალური მედიის არხებზე, ფორმის მეშვეობით ამ ინფორმაციის გაგზავნის გარდა, გამარჯვებულისგან დამატებითი დადასტურების გარეშე.

4. აკრძალული აქტივობები

4.1. მონაწილე არ ჩაერთვება რაიმე თაღლითურ, არაეთიკურ ან უკანონო აქტივობაში, რაიმე აქტივობაში, რომელიც Bolt-ისთვის არ არის გამჭვირვალე, ან ისეთ საქმიანობაში, რომელიც განზრახ ან უნებლიედ ბოროტად გამოიყენებს ან ჩაშლის კამპანიას.
4.2. მონაწილე არ მიაწვდის ცრუ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას Bolt-ს (ასაკის, ქმედუნარიანობისა და სხვა მონაცემების ჩათვლით).
4.3. მონაწილე ასევე არ აჩვენებს და არც გადასცემს რაიმე მასალას (პირდაპირ ან ირიბად, მაგალითად, გასაწევრიანებელი ბმულის ან სხვა მედიის საშუალებით), რომელიც:
4.3.1. არის შეუსაბამო, არაეთიკური, მუქარის შემცველი, შეურაცხმყოფელი ან სხვისი კონფიდენციალურობის დამრღვევი, ან იწვევს გაღიზიანებას, დისკომფორტს ან ზედმეტ მღელვარებას;
4.3.2. სავარაუდოდ, შეურაცხყოფს, გაანაწყენებს, შეაცბუნებს, დააფრთხობს ან გააღიზიანებს ნებისმიერ სხვა ადამიანს;
4.3.3. განასახიერებს ნებისმიერ პირს ან არასწორად ასახავს მონაწილეთა ვინაობას ან კავშირს რომელიმე პირთან;
4.3.4. ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ასეთი მასალა Bolt-იდან მომდინარეობს, თუ Bolt-ის მიერ კონკრეტულად არ არის მიცემული მონაწილისთვის ამ მიზნით; ან
4.3.5. საზიანოა Bolt-ის რეპუტაციისთვის.

5. ვალდებულებები

5.1. კამპანიაში მონაწილეობით მონაწილეები ადასტურებენ, რომ წაიკითხეს და ეთანხმებიან კამპანიის წესებსა და პირობებს.
5.2. თუ გამოვლინდება ფორსმაჟორული გარემოებები, Bolt-ს უფლება აქვს, შეწყვიტოს კამპანია წინასწარი შეტყობინების ან რაიმე შედეგის გარეშე. თუ ეს შესაძლებელია, Bolt უზრუნველყოფს შეტყობინით ასეთი შეწყვეტის შესახებ Bolt-ის ვებსაიტის, კლიენტებთან კომუნიკაციის, ელფოსტის და/ან სოციალური მედიის არხების მეშვეობით.

5.3. Bolt იტოვებს უფლებას, მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება კამპანიასთან დაკავშირებით, მათ შორის, ცალმხრივად შეცვალოს და შეავსოს კამპანიის წესები და პირობები წინასწარი შეტყობინების გარეშე. Bolt გამოაქვეყნებს შეტყობინებას კამპანიასთან დაკავშირებით ასეთი გადაწყვეტილებების შესახებ Bolt-ის ვებსაიტის, კლიენტებთან კომუნიკაციის, ელფოსტის და/ან სოციალური მედიის არხების მეშვეობით.
5.4. Bolt-ს უფლება აქვს, მოხსნას მონაწილე კამპანიიდან წინასწარი შეტყობინების გარეშე, თუ მონაწილე დაარღვევს კამპანიის წესებსა და პირობებს.
5.5. Bolt არ არის პასუხისმგებელი მესამე მხარის მიერ გამოწვეულ ხარვეზებზე, რომლებიც ხელს უშლის მონაწილეს კამპანიაში მონაწილეობაში.

6. კონფიდენციალურობა

6.1. კამპანიაში Bolt ამუშავებს მონაწილის პერსონალურ მონაცემებს, რათა დაადგინოს და გამოაცხადოს გამარჯვებული, რომელიც ასრულებს კამპანიის პირობებს GDPR-ის 6.1 (ბ) მუხლის შესაბამისად.
6.2. დამუშავებული პერსონალური მონაცემები მოიცავს მხოლოდ მონაწილის მიერ კამპანიის ფორმაში მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებს, როგორიცაა მისი სახელი, ქალაქი და ქვეყანა, ასევე, საკონტაქტო ინფორმაცია.
6.3. Bolt-მა შეიძლება გაუზიაროს მონაწილის პერსონალური მონაცემები Bolt ჯგუფის სხვა სუბიექტებს, ღრუბლოვანი საცავის ონლაინ სერვისების პროვაიდერებს და სხვა აუცილებელ IT სერვისებს. იმ შემთხვევაში, თუ Bolt მიიღებს იურიდიულ მოთხოვნას სახელმწიფო უწყებისგან, ის შეიძლება ასევე იყოს ვალდებული, გაუზიაროს მას მონაწილის პერსონალური მონაცემები.
6.4. როდესაც Bolt გააზიარებს მონაწილის მონაცემებს ევროკავშირის ან ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებს გარეთ, მონაწილის პერსონალური მონაცემების ასეთი გადაცემა განხორციელდება მხოლოდ ევროკომისიის მიერ მიღებული ადეკვატური გადაწყვეტილების ან შესაბამისი გარანტიების საფუძველზე, როგორიცაა სტანდარტული სახელშეკრულებო დებულებები. უსაფრთხოების დეტალების მოთხოვნა შესაძლებელია ელფოსტის მისამართზე privacy@bolt.eu.
6.5. მონაწილეს უფლება აქვს, მოითხოვოს პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობა და გასწორება ან წაშლა, ან პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა, ან გააპროტესტოს დამუშავება, ასევე, აქვს მონაცემთა პორტაბელურობის უფლება. როდესაც მონაწილის პერსონალური მონაცემები მუშავდება თანხმობის საფუძველზე, მონაწილეს უფლება აქვს, გააუქმოს თანხმობა ნებისმიერ დროს, მის გაუქმებამდე თანხმობის საფუძველზე დამუშავების კანონიერებაზე ზემოქმედების გარეშე. კონფიდენციალურობის გადაუჭრელი პრობლემების შემთხვევაში, მონაწილეს უფლება აქვს, მიმართოს მონაცემთა დაცვის ორგანოს.
6.6. Bolt-ის მიერ ინფორმაციის დამუშავების პრაქტიკასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეკითხვის შემთხვევაში, მონაწილეს შეუძლია, დაუკავშირდეს Bolt-ს ფოსტით შემდეგ მისამართზე: Bolt Operations OÜ, Vana-Lõuna tn 15, Tallinn 10134. მონაწილეს შეუძლია, დაუკავშირდეს Bolt-ის მონაცემთა დაცვის ოფიცერს ელმისამართზე privacy@bolt.eu.
6.7. Bolt გამოიყენებს კამპანიისთვის მოწოდებულ მონაწილის პერსონალურ მონაცემებს გამარჯვებულის გამოცხადებამდე, მაგრამ არა 5 თვეზე მეტი ხნის პერიოდში.
6.8. როდესაც გამარჯვებული გამოცხადდება, Bolt-ს შეუძლია, გამოაქვეყნოს მისი სახელი და იდეა Bolt-ის ვებსაიტებზე, PR კომუნიკაციებში, ელფოსტასა და სოციალური მედიის არხებში, კამპანიის შედეგების პოპულარიზაციის მიზნით.
6.9. თუ მონაწილე კამპანიაში მონაწილეობისას იყენებს მესამე პირის პერსონალურ მონაცემებს, მაშინ ამ მონაწილემ უნდა უზრუნველყოს, რომ ჰქონდეს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი ამ მონაცემების გასაზიარებლად Bolt-თან კონფიდენციალურობის შესახებ მოქმედი კანონის შესაბამისად.

7. Bolt-თან დაკავშირება

7.1. ყველა საჩივარი და კამპანიის ორგანიზებასთან დაკავშირებული შეკითხვა კამპანიის ვადის

განმავლობაში უნდა წარედგინოს Bolt-ს ელფოსტის შემდეგ მისამართზე: giveaways@bolt.eu ან ფოსტით: Bolt Operations OÜ, Vana-Lõuna tn 15, Tallinn, 10134. Bolt არ განიხილავს საჩივრებს კამპანიასთან დაკავშირებით, რომელიც გაიგზავნება კამპანიის პერიოდის დასრულების შემდეგ.